HCV RNA>10E6Iu/ml,n	6	15	16	10	14	6
გენოტიპი						
G1,n	16	5	5	14	7	5
G2,n	14	6	8	11	4	1
G3,n	18	7	6	9	5	1
ღვიძლის დაზ. ხარისხი (kPa)	7,8	8,2	8,1	7,9	9,2	9,1
IL 28B						
CC,n	36	3	4	20	3	2
CT,n	9	7	8	7	8	2
TT,n	3	8	7	7	5	3
IP-10, საშ. pg/ml	310	540	520	360	880	790

ჩვენს კვლევაში, მწვავე HCV ინფექციის დროს, სისხლის შრატში IP-10-ის დონის განსაზღვრამ როგორც HCV მონონიფიცირებულებში, ასევე HCV/HIV კო-ინფიცირებულებში აჩვენა, რომ იმ პაციენტებში სადაც მოხდა თვითგანკურნება, IP-10-ის დონე მნიშვნელოვანწილად დაბალი იყო, ვიდრე პაციენტებში სადაც ჩამოყალიბდა ქრონიკული HCV ინფექცია ($n=8/18; 380 \pm 60\text{pg/ml}$ vs $n=10/18 520 \pm 90\text{pg/ml}$).

ამრიგად, როგორც ქრონიკული HCV ინფექციის დროს, ასევე მწვავე HCV ინფექციის დროსაც, IP-10-ის დონე კორელირებს IL28B-ს გენოტიპთან. გამომდინარე აქედან, IP-10 იკვთება როგორც მნიშვნელოვანი სეროლოგიური მარკერი მწვავე C ჰეპატიტისაგან განკურნების მაღალი ალბათობით სავარაუდოდ, როგორც მონო, ასევე კო-ინფიცით პაციენტებში.

კვლევის შედეგების განხილვა

კვლევა 1

ჩვენი კვლევის შედეგად მოხდა უნიკალური კვლევის შედეგების რეპორტირება. კვლევის ორიგინალურმა დიზაინმა მოგვცა საშუალება, მოგვეხდინა პაციენტებზე დაკვირვება C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების პირველივე დღეებიდან. ჩვენ შევძელით სერონეგატიურ პირებში თვისობრივი პჯრ მეთოდით აღმოგვეჩინა HCV ინფექცია, ხოლო რნმ-ის რაოდენობის დათვლა შემდგომში მოხდა რეალური დროის რაოდენობრივი პჯრ რეაქციის გამოყენებით. გამოვლინდა მწვავე C ჰეპატიტის ვირუსის ორი ძალიან უჩვეულო ტრაექტორია, რომელიც შეიძლება იყოს უფრო ხშირი, ვიდრე აღწერილია კლინიკურ კვლევებში.

პირველი უჩვეულო შემთხვევა არის ტრანზიტორული ვირემიის შემთხვევა, როდესაც HCV რნმ პოზიტიურ ორ პაციენტში მოხდა ვირუსის სპონტანური ელიმინაცია, ყოველგვარი კლინიკური გამოვლინების გარეშე. ALT-ს დონე არ მომატებულა, და რაც ყველაზე უჩვეულოა, ისე მოხდა ვირუსის გაქრობა, რომ არ მომხდარა სეროკონვერსია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ლიტერატურაში მხოლოდ ერთეული ანალოგიური შემთხვევაა აღწერილი (Meyer et al., 2007; Munier et al., 2013; Post et al., 2004; Stramer et al., 2004). აქვე საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნულ კვლევაში(Stramer, et al., 2004) სტრამერს და მის კოლეგებს არ აქვთ აღწერილი ვირემიის ხანგრძლივობა, მათ აქვთ მხოლოდ დაფიქსირებული HCV რნმ-ის

განმეორებითი გამოვლენის და შემდგომ გაქრობის ფაქტი. ჩვენი კვლევის ფარგლებში კი, ერთ პაციენტში 2 კვირის განმავლობაში, ხოლო მე-2 პაციენტში 4 კვირის განმავლობაში ვაკვირდებოდით ვირემიის არსებობას. აღწერილ ორივე შემთხვევაში, ვირემიის ხანგრძლივობა იყო ხანმოკლე, მისი გამოვლენა და აღწერა მხოლოდ კვლევის განსაკუთრებული დიზაინის საშუალებით მოხერხდა. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი, რომ როდესაც მწვავე C ჰეპატიტის გამოსავლენ ძირითად მარკერებად გამოიყენება ვირუსის ანტისხეულებზე და მომატებულ ALT-ზე გამოკვლევა, უმეტეს შემთხვევებში ვერ ხდება ტრანზიტორული ვირემიის დაფიქსირება (Hajarizadeh, Grebely, & Dore, 2012).

ტრანზიტორული ვირემიის გამოვლენის ზემოაღწერილი სიძნელეები ტოვებს კითხვებს, თუ რამდენად ხშირია ტრანზიტორული ვირემია და როგორია მისი კლინიკური გამოვლინება და აქვთ თუ არა ესეთ პაციენტებს რაიმე სახის იმუნიტეტი ახალ HCV ინფექციაზე.

მწვავე C ჰეპატიტის მეორე საინტერესო ფორმა იქნა აღწერილი ჩვენს კვლევაში. როდესაც, უსიმპტომოდ მიმდინარე ორ მწვავე C ჰეპატიტიან პაციენტში განვითარდა ქრონიკული ინფექცია ისე, რომ ALT-ს დონეს არ მოუმატია. როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ორივე პაციენტს 24 კვირის პერიოდში განუვითარდა სეროკონვერსია. როგორც კლინიკური ჰეპატიტის გამოვლინება, ალტ-ს მაჩვენებლის მომატება დაფიქსირდა მოკლე დროში, მხოლოდ მას შემდეგ რაც პლაზმაში მოიმატა ვირუსული რნმ-ის რაოდენობამ (Hajarizadeh, et al., 2013). შეიძლება ითქვას, რომ ასიმპტომური ჰეპატიტი ასოცირდება ALT-ს დაბალ დონესთან, სიმპტომურ ჰეპატიტთან შედარებით (Mosley et al., 2005). თუმცა ლიტერატურაში მაინც მოიპოვება მონაცემები ქრონიკული C ჰეპატიტის შესახებ, რომელიც მიმდინარეობს დვიდლის ნორმალური ბიოქიმიური მაჩვენებლების პირობებში (Hajarizadeh et al., 2014; Uto, Mawatari, Kumagai, Ido, & Tsubouchi, 2012). შტრამერმა და მისმა კოლეგებმა აღწერეს ალტ-ს დონის მომატების გარეშე 3 წლამდე ხანგრძლივობის ვირემიის სამი შემთხვევა, მაგრამ ამ ქეისებში ჩვენს მიერ აღწერილი შემთხვევებისაგან განსხვავებით დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა სეროკონვერსია (Stramer, et al., 2004).

რაც შეეხება დაავადების სხვა კლინიკურ ფორმებს: ოთხი მწვავე HCV ინფექციის მქონე სიმპტომური პაციენტიდან, სამს აღენიშნებოდა სიყვითლე. სწორედ ამ სამი პაციენტიდან ორში მოხდა ვირუსის უეცარი გაქრობა. სიმპტო-

მური მწვავე C ჰეპატიტი და განსაკუთრებით სიყვითლის არსებობა იქნა აღწერილი როგორც უეცარი განკურნების ყველაზე მაღალპროცენტული მარკერი (Maheshwari, Ray, & Thuluvath, 2008; Micallef, Kaldor, & Dore, 2006).

ჩვენს კვლევაში აღწერილია 9 მწვავე C ჰეპატიტიანი ასიმპტომური პაციენტი, მათ აღენიშნებოდათ ALT-ს ზომიერი მატება და გამოხატული იყო სეროკონვერსია. არცერთ მათგანში არ მომხდარა ვირუსის გაქრობა. აღნიშნული არ არის გასაკვირი, რადგან როგორც ლიტერატურაშია აღწერილი უსიმპტომოდ, ჰეპატიტის ბიოქიმიური მარკერების მატების გარეშე მიმდინარე მწვავე C ჰეპატიტი ასოცირდება ყველაზე დაბალ პროგნოზულ მარკერად. საშუალოდ მხოლოდ 10 %-ში ხდება ვირუსისგან ელიმინაცია (Maheshwari, et al., 2008).

საერთო ჯამში, ჩვენს კვლევაში ვირუსისაგან განთავისუფლება დაფიქსირდა 23.5%-ში, რაც მსგავსია ლიტერატურაში აღწერილი 26 %-ისა (Micallef, et al., 2006). ყველაზე მაღალი განკურნების დონე, 40% და მეტი აღწერილია ბრაზილიაში (Lewis-Ximenez et al., 2010) და ეგვიპტეში (Sharaf Eldin et al., 2008). აქვე უნდა აღინიშნოს რომ ამ ქვეყნებში კვლევაში მონაწილეობდნენ დიდი რაოდენობით სიმპტომურად მიმდინარე HCV ინფექციის მქონე ქალები. ხოლო ორივე მაჩვენებელი, სიმპტომური მწვავე C ჰეპატიტი და მდედრობითი სქესი ასოცირდება მწვავე ჰეპატიტის უკეთეს გამოსავალთან, მათ შორის განკურნების ყველაზე მაღალ სიხშირესთან (Micallef, et al., 2006).

ჩვენს კვლევაში გამოვლინდა HCV ვირუსული დატვირთვის სხვა მკვლევარების მიერ გამოქვეყნებული კვლევების ანალოგიური კანონზომიერებები (Cox et al., 2005; Glynn et al., 2005; Hajarizadeh, et al., 2013; McGovern et al., 2006). კვლევამ, მწვავე C ჰეპატიტით პაციენტებში ვირუსის დინამიკის როგორც პროგნოზული მარკერის შესახებ, გაამყარა ლიუს და მისი კოლეგების მიერ ახლახანს გამოქვეყნებული შედეგები იმის თაობაზე, რომ არსებობს გარკვეული კორელაცია ვირუსის საწყის კონცენტრაციასა და დაავადების გამოსავალს შორის (Liu, Fisher, Thomas, Cox, & Ray, 2012). კერძოდ, იმ პირებში, რომელთაც HCV რნმ-ის პიკის დროს ვირუსის მაღალი კონცენტრაცია აღენიშნათ, დაფიქსირდა უფრო მაღალი სიხშირით გამოჯანმრთელების ტენდენცია. რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ვირუსის მაღალმა კონცენტრაციამ იმუნური სისტემის მხრივ ძლიერი წინაღმდეგობა გამოიწვია და შესაბამისად ძლიერი იმუნური პასუხი განვითარდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნების გაკეთებისას უნდა ვიყოთ ფრთხილად და გავითვალისწინოთ ის

გარემოება, რომ იმ ოთხი პირიდან სადაც მოხდა ვირუსისაგან ელიმინაცია, ორში იყო გარდამავალი HCV ვირემია.

ჩვენმა კვლევამ გამოკვეთა კიდევ ერთი, საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური გამოწვევა-სისხლის და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება, როდესაც მათი კვლევა ხდება მხოლოდ სეროლოგიურად. უსაფრთხო სისხლის ეროვნული პროგრამა საქართველოში 1997 წელს დაინერგა და მოიცავს უკლებლივ ყველა დონორის, აივ-ზე, B და C ჰეპატიტის ვირუსებზე და სიფილისზე სეროლოგიურ გამოკვლევას. ამ პროგრამის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ტრანსფუზიური გზით გადადებული შემთხვევების რაოდენობა (TTI). თუმცა ჩვენმა კვლევამ ცხადყო, რომ ნაციონალურმა უსაფრთხო სისხლის პროგრამამ, რომელიც მოიცავს მხოლოდ სკრინინგულ კვლევას და ემყარება დონორის სისხლში ზემოთ ჩამოთვლილ ინფექციებზე მხოლოდ ანტი-სხეულებზე ტესტირებას, ჩვენ შემთხვევაში ვერ შეძლო HCV 7 ახალი შემთხვევის გამოვლენა. მსოფლიოს მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა უკვე შემოიღეს დონორების სისხლის ნუკლეინის მუაგებით ტესტირება (NAT) ოქროს სტანდარტად. რამაც მინიმუმამდე შეამცირა ამ გზით ვირუსული აგენტებით ინფიცირების შემთხვევები (Coste et al., 2005).

ჩვენი კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში გამართლებულია სისხლის დონორებში NAT ტესტირების დანებგვა. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია C ჰეპატიტთან მიმართებაში, რადგან საქართველო მიეკუთვნება C ჰეპატიტის მაღალი პრევალენტობის ქვეყნებს. ასევე, HCV ინფექცია ხასიათდება უფრო ხანგრძლივი სერონეგატიური ფანჯარა პერიოდით, ვიდრე აივ ინფექცია (Stvilia, et al., 2006).

ჩვენს კვლევაში დონორებს შორის გამოვლენილი მწვავე HCV ინფექციით 2 პირი ინექციური გზით ნარკოტიკის მომხმარებელი აღმოჩნდა. კვლევის დროს ჩატარებული ინტერვიუს დროს მათ აღიარეს ნარკოტიკის უახლოეს წარსულში მოხმარება, თუმცა ეს ფაქტი დამალეს სისხლის ბანკში სისხლს ჩაბარებების დროს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სისხლის დონაციას უმეტესწილად კომერციული დონორები ეწვეიან, რომლებიც წარმოადგენენ HCV ინფექციის და TTI-ის მაღალი რისკის ჯგუფს (Zaller et al., 2004), აუცილებელია სისხლის და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების სტრატეგიაში NAT-ზე გამოკვლევის დამატების მიღწევა. ასევე საჭიროა დიდი ძალისხმევა, რათა გაიზარდოს ნება-

ყოფლობითი, უსასყიდლო სისხლის დონორების რიცხვი და შემუშავდეს ეფექტური სკრინინგის ალგორითმი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს სისხლის დონორებში მაღალი რისკის ქცევებს.

ჩვენს კვლევას აქვს რამოდენიმე შეზღუდვა:

მიუხედავად კვლევის მაშტაბურობისა, გამოვლინილი მწვავე C ჰეპატიტის შემთხვევების რიცხვი არის მცირე, იმისათვის რომ კვლევის შედეგების განზოგადოება იყოს სტატისტიკურად სარწმუნო.

მეორე შესაძლო შეზღუდვაა, დაკვირვების პერიოდის ხანგრძლივობა. როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, პაციენტების დიდ უმრავლესობაში სპონტანური გამოჯამრთელება მიიღწევა ინფიცირებიდან 6 თვის განმავლობაში (Hajarizadeh, et al., 2013; McGovern et al., 2009; Thomas, 2013). სწორედ ამიტომ ჩვენ ახალ/მწვავე ინფექციას ვაკვირდებოდით 24 კვირის განმავლობაში. თუმცა მოიპოვება შეზღუდული რიცხვი მონაცემებისა, რომლებშიც აღწერილია ვირუსის კლირენსი 6 თვის შემდეგ და ერთეულ შემთხვევაში 12 თვის შემდეგაც, როდესაც უკვე დადგენილად ითვლება ქრონიკული ინფექცია (Jauncey et al., 2004; Scott et al., 2006; Villano, et al., 1999; Vispo et al., 2014). ამიტომ შესაძლებელია, ზოგიერთ პაციენტში მომხდარიყო ვირუსისაგან სპონტანური ელიმინაცია, ჩვენი დაკვირვების პერიოდის გასვლის შემდეგ.

კვლევა 2

კვლევის ფარგლებში შემუშავებულმა დიზაინმა, მოგვცა საშუალება C ჰეპატიტის მიმართ მაღალი სარისკო ქცევის აივ ინფიცირებულ anti HCV სერონეგატიურ პირებში გამოგვევლინა მწვავე C ჰეპატიტის შემთხვევები და ცხრა თვის განმავლობაში მოგვეხდინა მათზე დაკვირვება. თვისობრივი პჯრ მეთოდის გამოყენებით, HCV სერონეგატიურ პირებში გამოვავლინეთ მწვავე HCV ინფექცია, ხოლო რნმ-ის რაოდენობის დათვლა შემდგომში მოხდა რეალური დროის რაოდენობრივი პჯრ რეაქციის გამოყენებით.

ჩვენი კვლევის შედეგად მოხდა შემდეგი შედეგების რეპორტირება:

კვლევა 2-ში, ისევე როგორც პირველ კვლევაში, სპონტანურ გამოჯამრთელებასა და HCV გენეტიკურ ტიპებს შორის რაიმე კორელაცია არ გამოკვეთილა. HIV/HCV კო-ინფიცირებულ პაციენტებში მწვავე HCV-ისაგან განკურნებულთა

შორის იყო დაახლოებით თანაბარი პროცენტული გადანაწილება, რაც განსხვავდება ზოგიერთი მკვლევართა ჯგუფის მიერ მიღებული შედეგებისაგან (Lehmann et al., 2004). სადაც, მე-3 გენეტიკურ ტიპში მწვავე HCV-ის დროს მიიღეს განკურნების უფრო მაღალი პროცენტი.

დედეს არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურული მონაცემებით, მწვავე C ჰეპატიტის დროს, ვირუსისაგან ერადიკაცია ხდება 6 თვის პერიოდში (Hajarizadeh, et al., 2013; McGovern, et al., 2009; Thomas, 2013). ექვსი თვის შემდეგ ვირუსის გაქრობა აღწერილია ზოგიერთი მკვლევარის ნაშრომში და იშვიათობას წარმოადგენს (Jauncey, et al., 2004; Scott, et al., 2006; Vispo, et al., 2014). საგულისხმოა, რომ ჩვენი კვლევის პროცესში ვირუსისაგან ქლირენსი ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა არა გამოვლენიდან 6 თვის პერიოდში, არამედ დაკვირვების 27-ე კვირაზე. საინტერესოა ხომ არ უკავშირდება დაგვიანებული ელიმინაცია აივ-თან კონფიცირებას. აღნიშნული მოითხოვს დამატებით შესწავლას.

ჩვენს კვლევაში, HIV/HCV კო-ინფიცირებულ, სიმპტომურ პაციენტებში HCV ვირუსისაგან ქლირენსმა ჯამში შეადგინა 26.9%. მიღებული განკურნების პროცენტი მნიშვნელოვანწილად დაბალია თუ მას შევადარებთ ლიტერატურაში აღწერილ, სიმპტომური HCV მონონფიცირებულების გამოჯამრთელების პროცენტს (Lewis-Ximenez, et al., 2010; Micallef, et al., 2006; Sharaf Eldin, et al., 2008).

კვლევამ ცხადყო, რომ მასპინზლის გენეტიკური ფაქტორი, კერძოდ IL28B-ს გენოტიპი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვირუსის ერადიკაციაში. 26 გამოვლენილი მწვავე შემთხვევიდან შვიდ შემთხვევაში, სადაც მოხდა ვირუსის ელიმინაცია უმრავლესობას, კერძოდ ხუთს ქონდა C/C გენოტიპი (71.4%), ხოლო ორ პაციენტს C/T გენოტიპი. ჩვენს კვლევაში მიღებული შედეგი მსგავსია სხვა მკვლევარების მიერ მიღებული შედეგების და ცხადყოფს, რომ IL28B C/C გენოტიპი გამოჯამრთელების მნიშვნელოვანი პრედიქტორია როგორც მონო ასევე კო-ინფიცირებული პაციენტებისთვისაც.

ჩვენს კვლევას აქვს რამოდენიმე შეზღუდვა:

საკვლევი პოპულაციის სპეციფიკიდან გამომდინარე და ზოგადად C ჰეპატიტის მწვავე პერიოდში დაჭერის სირთულიდან გამომდინარე, გამოვლენილი მწვავე C ჰეპატიტის შემთხვევების რიცხვი არის მცირე, იმისათვის რომ კვლევის შედეგების განზოგადოება იყოს სტატისტიკურად სარწმუნო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვაა კვლევაში მხოლოდ მამაკაცების მონაწილეობა, რომელიც ასევე საკვლევი პოპულაციის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ჩვენს კვლევაში, მდედრობითი სქესის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრედიქტორის ვირუსისაგან ელიმინაციაში, კოინფიცირებული პაციენტებისათვის ვერ მოხერხდა.

კვლევა 3

ჩვენი კვლევის მონაცემებმა აჩვენა აივ-ით ინფიცირებულ პაციენტების სხვადასხვა ჯგუფში ოკულტური HCV ინფექციის არსებობა. კვლევის შედეგების გაანალიზებისას არცერთი HCV გენოტიპი არ იყო უპირატესი. ღვიძლის ფიბროზი ნანახი იქნა უფრო ხშირად და ფიბროზის ხარისხი იყო უფრო მაღალი OCI პაციენტებში, ვიდრე იმ პირებში ვისაც არ ქონდათ ოკულტური C ჰეპატიტი. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ გამოუვლენელმა ოკულტურმა C ჰეპატიტმა შეიძლება გარკვეული გავლენა იქონიოს ღვიძლის დაზიანებაზე. წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ აივ ინფიცირებულების მხოლოდ HCV ანტისხეულებზე კვლევა არ ასახავს ოკულტური HCV კო-ინფექციის ჭეშმარიტ პრევალენტობას.

ჩვენ ვთავაზობთ, რომ OCI-ის გამოსავლენად, ღვიძლის ბიოფსიის ხელ-მიუწვდომლობის შემთხვევაში PBMCs ნიმუშების HCV-რმნზე კვლევა იქნება ინფორმატიული.

კვლევა 4

კვლევის ფარგლებში შემუშავებულმა დიზაინმა, მოგვცა საშუალება, კვლევისათვის გამოგვეყენებინა როგორც ჩვენს კლინიკებში მკურნალობისათვის მოსული პაციენტების სისხლის ნიმუშები, ასევე სამეცნიერო მიზნებისათვის შეგროვილი და -70°C -ზე შენახული საკვლევი მასალა. საკვლევი ნიმუშების რაოდენობის გაზრდამ კი, გაზარდა შედეგების სარწმუნოება.

ჩვენი კვლევის შედეგად მოხდა შემდეგი შედეგების რეპორტირება:

- C ჰეპატიტის საწინააღმდეგო, ანტივირუსული მკურნალობის დაწყებამდე, შრატის IP-10-ის დონე იმ პაციენტებში, რომლებმაც მკურნალობის შედეგად მიღწიეს SVR-ს ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე IP-10-ის საწყისი მაჩვენებელი

არამოპასუხეებში და რელაფსეში, როგორც HCV მონონფიცირებულებში, ასევე HIV/HCV კო-ინფექციით პაციენტებში.

- ანტივირუსული მკურნალობის დაწყებამდე, IP-10-ის დონე არამოპასუხეებსა და რელაფსერებს შორის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.
- პაციენტებს რომელთაც ქონდათ ფიბროზის დაბალი ხარისხი და ALT-ს დაბალი დონე შრატის IP-10-ის დონეც მნიშვნელოვანწილად დაბალი ქონდათ, მაღალი ფიბროზით და მაღალი ALT-ით პაციენტებთან შედარებით.
- პაციენტებს, რომელთაც ქონდათ მაღალი HCV ვირუსული დატვირთვა, IP-10-ის დონე შრატში ქონდათ უფრო მაღალი, ვიდრე დაბალი ვირუსული დატვირთვით პაციენტებს.
- Ip-10-ისათვის გამოვიანგარიშეთ ის ზღვრული მაჩვენებელი, რომელიც არის SVR-ის პრედიქტორი, ამ მაჩვენებელის საშუალო სიდიდე (cutoff) განისაზღვრა 400 pg/ml-ით. კატოფის ამ მნიშვნელობის (400pg/ml) გამოყენებით საკმაოდ მაღალი ალბათობით, დაახლოებით 91%-იანი სიზუსტით შეიძლება ვივარაუდოთ მოხდება თუ არა ვირუსისაგან ელიმინაცია, თუ მივიღებთ რელაფსს.
- მწვავე HCV ინფექციის დროს, როგორც HCV მონონფიცირებულებში, ასევე HCV/HIV კო-ინფიცირებულებში, სისხლის შრატში IP-10-ის დონე მნიშვნელოვანწილად დაბალია პაციენტებში, სადაც მოხდა გამოჯანმრთელება, ვიდრე პაციენტებში სადაც ჩამოყალიბდა ქრონიკული HCV ინფექცია.
- როგორც ქრონიკული HCV ინფექციის დროს, ასევე მწვავე HCV ინფექციისას, IP-10-ის დონე კორელირებს IL28B-ს გენოტიპთან და კავშირშია დაავადების გამოსავალთან.

დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები:

დასკვნები:

კვლევა 1

- სერონეგატიურ სისხლის დონორებში HCV ინფექციის პრევალენტობა შეადგენს 0.1 %, ხოლო სერონეგატიურ ინექციური გზით ნარკოტიკების მომხმარებლებში 0.3%-ს.
- მწვავე/ახალი HCV ინფექციის დროს ქრონიზაცია ხდება 76%-ში. (სიმპტომატურ პაციენტებში – 50%, ასიმპტომატურ პაციენტებში – 84%).
- მწვავე/ახალი HCV ინფექციის მიმდინარეობისას ვირუსის რეპლიკაციის კინეტიკა და კონცენტრაცია კორელაციაშია დაავადების გამოსავალთან.
- მწვავე/ახალი HCV ინფექციის სიმპტომური მიმდინარეობა, ახალგაზრდა ასაკი და მდებარეობითი სქესი კორელირებს დაავადების გამოსავალთან.
- C ჰეპატიტის ვირუსის გენეტიკური ტიპი არ ახდენს გავლენას მწვავე/ახალი HCV ინფექციის მიმდინარეობასა და მის გამოსავალზე.
- ჩვენი კვლევისას გამოვლენილი ტრანზიტორული ვირემიის ორი შემთხვევა, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული შეიძლება იყოს უფრო ხშირი, ვიდრე აღწერილია ლიტერატურაში.

კვლევა 2

- სერონეგატიურ, სიმპტომურ, HCV ინფექციის მიმართ მაღალი რისკის აივ ინფიცირებულებში დაფიქსირდა მწვავე HCV ინფექციის მაღალი ინციდენტობა – 5.76% (MSM-13,25; IDUs-2,8%).
- ისევე როგორც მონონინფიცირებულებში, აივ ინფიცირებულებშიც, C ჰეპატიტის ვირუსის გენეტიკური ტიპი არ ახდენს გავლენას მწვავე/ახალი HCV ინფექციის მიმდინარეობასა და მის გამოსავალზე.
- მწვავე HCV ინფექციის დროს, ერთეულ შემთხვევებში, ელიმინაცია შეიძლება მოხდეს არა ექვსი თვის პერიოდში, არამედ უფრო ხანგრძლივ ვადაში.

- HIV/HCV კო-ინფიცირებულ, სიმპტომურ მწვავე C ჰეპატიტის პირებში, ისევე როგორც მწვავე C ჰეპატიტით მონონიფიცირებულებში, IL28B C/C გენოტიპს, C/T და T/T გენოტიპებთან შედარებით აქვს თვითგანკურნების მაღალი პროგნოზული ღირებულება.
- HIV/HCV კო-ინფიცირებულ, სიმპტომურ პირებში, მწვავე HCV ინფექციისაგან სპონტანური გამოჯამრთელების პროცენტი მნიშვნელოვანწილად დაბალია, ვიდრე HCV მონონიფიცირებულ პაციენტებში (26,9% vs 50%).

კვლევა 3

- აივ ინფიცირებული პაციენტების სხვადასხვა ჯგუფში არსებობს ოკულტური HCV ინფექცია, რომელიც არ ჩანს პერიფერიული სისხლის შრატის ან პლაზმის HCV ანტისხეულებზე ან უშუალოდ ვირუსის რნმ-ზე გამოკვლევისას.
- HCV გენეტიკური ტიპი არ ახდენს რაიმე გავლენას OCI შემთხვევებზე.
- OCI პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე პაციენტებში OCI-ის გარეშე.

კვლევა 4

- შრატის IP-10-ის დაბალი კონცენტრაცია, ისევე როგორც IL 28B C/C გენოტიპი წარმოადგენს მწვავე HCV ინფექციისაგან განკურნების დადებით პროგნოზულ მარკერს როგორც HCV მონონიფიცირებულ პაციენტებში, ასევე HCV/HIV კო-ინფიცირებულ პაციენტებში.
- დაბალი ღირებულების და ანალიზის შესრულების სიმარტივის გამო, IP10-ის განსაზღვრის იმუნოფერმენტულმა მეთოდმა შესაძლებელია გარკვეულწილად ჩაანაცვლოს IL28B გენოტიპირების მაღალტექნოლოგიური და შესაბამისად ძვირადღირებული მეთოდი.

რეკომენდაციები:

- მწვავე C ჰეპატიტის მკურნალობის გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც მონო ასევე HIV/HCV კო-ინფექციით პაციენტებში, რეკომენდირებულია შემდეგი ფაქტორების: ასაკი, სქესი, ვირუსის კინეტიკა, ვირუსის კონცენტრაცია, დაავადების მიმდინარეობის ფორმა (სიმპტომური/უსიმპტომო) და მასპინძლის გენეტიკური (IL28B) და/ან სეროლოგიური (IP-10) მარკერების პროგნოზული ღირებულების გათვალისწინება.
- ოკულტური HCV ინფექციის გამოსავლენად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევაა PBMCs ნიმუშების HCV-რნმზე გამოკვლევა. მეთოდი არის ადვილად შესასრულებელი, იაფი, ინფორმატიული და თავისუფლად შესაძლოა გამოვიყენოთ, როგორც ღვიძლის ბიოფსიის ალტერნატიული მეთოდი HCV-რნმზე გამოკვლევისას.
- სადღეისოდ, სხლის და სისხლის პროდუქტების დონორების HCV ინფექციაზე ტესტირება, მხოლოდ ანტისხეულებზე კვლევას ითვალისწინებს. სერონეგატიური ფანჯარა პერიოდის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია, დონორთა სავალდებულო ტესტირების დღეს არსებულ ალგორითმს, დაემატოს NAT ტესტირება ე.წ. ავზის მეთოდით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სერონეგატიურ პირებში HCV ინფექციის ადრეულ ეტაპზე გამოვლენას. ე.წ. ავზის მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნად არ გაზრდის ხარჯებს, ხოლო შედეგად თავიდან აგვაცილებს დაინფიცირების შემთხვევებს.
- მაღალი რისკის ქცევის დონორების რიცხვს შესამცირებლად სასურველია მოხდეს ნებაყოფლობითი/უსასყიდლო დონაციის პოპულარიზაცია და წახალისება.

ლიტერატურა

- Acton, S., Rigotti, A., Landschulz, K. T., Xu, S., Hobbs, H. H., & Krieger, M. (1996). Identification of scavenger receptor SR-BI as a high density lipoprotein receptor. *Science*, *271*(5248), 518-520.
- Afdhal, N., Reddy, K. R., Nelson, D. R., Lawitz, E., Gordon, S. C., Schiff, E., et al. (2014). Ledipasvir and sofosbuvir for previously treated HCV genotype 1 infection. *N Engl J Med*, *370*(16), 1483-1493.
- Alter, M. J. (1997a). The epidemiology of acute and chronic hepatitis C. *Clin Liver Dis*, *1*(3), 559-568, vi-vii.
- Alter, M. J. (1997b). Epidemiology of hepatitis C. *Hepatology*, *26*(3 Suppl 1), 62S-65S.
- Alter, M. J. (2006). Epidemiology of viral hepatitis and HIV co-infection. *J Hepatol*, *44*(1 Suppl), S6-9.
- Alter, M. J. (2007). Epidemiology of hepatitis C virus infection. *World J Gastroenterol*, *13*(17), 2436-2441.
- Alter, M. J., Kruszon-Moran, D., Nainan, O. V., McQuillan, G. M., Gao, F., Moyer, L. A., et al. (1999). The prevalence of hepatitis C virus infection in the United States, 1988 through 1994. *N Engl J Med*, *341*(8), 556-562.
- Antoszewski, B., Sitek, A., Jedrzejczak, M., Kasielska, A., & Kruk-Jeromin, J. (2006). Are body piercing and tattooing safe fashions? *Eur J Dermatol*, *16*(5), 572-575.
- Armstrong, G. L., Wasley, A., Simard, E. P., McQuillan, G. M., Kuhnert, W. L., & Alter, M. J. (2006). The prevalence of hepatitis C virus infection in the United States, 1999 through 2002. *Ann Intern Med*, *144*(10), 705-714.
- Badridze, N., Chkhartishvili, N., Abutidze, A., Gatsserelia, L., & Sharvadze, L. (2008). Prevalence of hepatitis B and C among HIV positive patients in Georgia and its associated risk factors. *Georgian Med News*(165), 54-60.
- Bain, C., Fatmi, A., Zoulim, F., Zarski, J. P., Trepo, C., & Inchauspe, G. (2001). Impaired allostimulatory function of dendritic cells in chronic hepatitis C infection. *Gastroenterology*, *120*(2), 512-524.
- Barril, G., Castillo, I., Arenas, M. D., Espinosa, M., Garcia-Valdecasas, J., Garcia-Fernandez, N., et al. (2008). Occult hepatitis C virus infection among hemodialysis patients. *J Am Soc Nephrol*, *19*(12), 2288-2292.

- Bartosch, B., Vitelli, A., Granier, C., Goujon, C., Dubuisson, J., Pascale, S., et al. (2003). Cell entry of hepatitis C virus requires a set of co-receptors that include the CD81 tetraspanin and the SR-B1 scavenger receptor. *J Biol Chem*, 278(43), 41624-41630.
- Blatt, L. M., Mutchnick, M. G., Tong, M. J., Klion, F. M., Lebovics, E., Freilich, B., et al. (2000). Assessment of hepatitis C virus RNA and genotype from 6807 patients with chronic hepatitis C in the United States. *J Viral Hepat*, 7(3), 196-202.
- Bravo, A. A., Sheth, S. G., & Chopra, S. (2001). Liver biopsy. *N Engl J Med*, 344(7), 495-500.
- Bukh, J., Miller, R. H., & Purcell, R. H. (1995). Genetic heterogeneity of hepatitis C virus: quasispecies and genotypes. *Semin Liver Dis*, 15(1), 41-63.
- Carrat, F., Bani-Sadr, F., Pol, S., Rosenthal, E., Lunel-Fabiani, F., Benzekri, A., et al. (2004). Pegylated interferon alfa-2b vs standard interferon alfa-2b, plus ribavirin, for chronic hepatitis C in HIV-infected patients: a randomized controlled trial. *JAMA*, 292(23), 2839-2848.
- Carreno, V., Bartolome, J., Castillo, I., & Quiroga, J. A. (2012). New perspectives in occult hepatitis C virus infection. *World J Gastroenterol*, 18(23), 2887-2894.
- Castillo, I., Pardo, M., Bartolome, J., Ortiz-Movilla, N., Rodriguez-Inigo, E., de Lucas, S., et al. (2004). Occult hepatitis C virus infection in patients in whom the etiology of persistently abnormal results of liver-function tests is unknown. *J Infect Dis*, 189(1), 7-14.
- CDC. (1998). Recommendations for Prevention and Control of Hepatitis C Virus (HCV) Infection and HCV-Related Chronic Disease. *Morbidity and Mortality Weekly Report*(US Department of Health and Human Services), 47.
- Chang, K. M., Thimme, R., Melpolder, J. J., Oldach, D., Pemberton, J., Moorhead-Loudis, J., et al. (2001). Differential CD4(+) and CD8(+) T-cell responsiveness in hepatitis C virus infection. *Hepatology*, 33(1), 267-276.
- Charlton, M., Everson, G. T., Flamm, S. L., Kumar, P., Landis, C., Brown, R. S., Jr., et al. (2015). Ledipasvir and Sofosbuvir Plus Ribavirin for Treatment of HCV Infection in Patients With Advanced Liver Disease. *Gastroenterology*, 149(3), 649-659.
- Chemello, L., Cavalletto, L., Bernardinello, E., Guido, M., Pontisso, P., & Alberti, A. (1995). The effect of interferon alfa and ribavirin combination therapy in naive patients with chronic hepatitis C. *J Hepatol*, 23 Suppl 2, 8-12.
- Chung, R. T., Andersen, J., Volberding, P., Robbins, G. K., Liu, T., Sherman, K. E., et al. (2004). Peginterferon Alfa-2a plus ribavirin versus interferon alfa-2a plus ribavirin for chronic hepatitis C in HIV-coinfected persons. *N Engl J Med*, 351(5), 451-459.

- Coste, J., Reesink, H. W., Engelfriet, C. P., Laperche, S., Brown, S., Busch, M. P., et al. (2005). Implementation of donor screening for infectious agents transmitted by blood by nucleic acid technology: update to 2003. *Vox Sang*, 88(4), 289-303.
- Cox, A. L., Netski, D. M., Mosbrugger, T., Sherman, S. G., Strathdee, S., Ompad, D., et al. (2005). Prospective evaluation of community-acquired acute-phase hepatitis C virus infection. *Clin Infect Dis*, 40(7), 951-958.
- Daniele, B., Bencivenga, A., Megna, A. S., & Tinessa, V. (2004). Alpha-fetoprotein and ultrasonography screening for hepatocellular carcinoma. *Gastroenterology*, 127(5 Suppl 1), S108-112.
- Davila, J. A., Morgan, R. O., Shaib, Y., McGlynn, K. A., & El-Serag, H. B. (2004). Hepatitis C infection and the increasing incidence of hepatocellular carcinoma: a population-based study. *Gastroenterology*, 127(5), 1372-1380.
- De Francesco, R. (1999). Molecular virology of the hepatitis C virus. *J Hepatol*, 31 Suppl 1, 47-53.
- de Ledinghen, V., Douvin, C., Kettaneh, A., Ziol, M., Roulot, D., Marcellin, P., et al. (2006). Diagnosis of hepatic fibrosis and cirrhosis by transient elastography in HIV/hepatitis C virus-coinfected patients. *J Acquir Immune Defic Syndr*, 41(2), 175-179.
- Demetriou, V. L., Kyriakou, E., & Kostrikis, L. G. (2011). Near-full genome characterisation of two natural intergenotypic 2k/1b recombinant hepatitis C virus isolates. *Adv Virol*, 2011, 710438.
- Diago, M., Castellano, G., Garcia-Samaniego, J., Perez, C., Fernandez, I., Romero, M., et al. (2006). Association of pretreatment serum interferon gamma inducible protein 10 levels with sustained virological response to peginterferon plus ribavirin therapy in genotype 1 infected patients with chronic hepatitis C. *Gut*, 55(3), 374-379.
- Firdaus, R., Saha, K., Biswas, A., & Sadhukhan, P. C. (2015). Current molecular methods for the detection of hepatitis C virus in high risk group population: A systematic review. *World J Virol*, 4(1), 25-32.
- Frank, C., Mohamed, M. K., Strickland, G. T., Lavanchy, D., Arthur, R. R., Magder, L. S., et al. (2000). The role of parenteral antischistosomal therapy in the spread of hepatitis C virus in Egypt. *Lancet*, 355(9207), 887-891.
- Fraser, J., Boo, I., Pournourios, P., & Drummer, H. E. (2011). Hepatitis C virus (HCV) envelope glycoproteins E1 and E2 contain reduced cysteine residues essential for virus entry. *J Biol Chem*, 286(37), 31984-31992.
- Garcia, G., & Keeffe, E. B. (2001). Liver biopsy in chronic hepatitis C: routine or selective. *Am J Gastroenterol*, 96(11), 3053-3055.

- Gerlach, J. T., Diepolder, H. M., Zachoval, R., Gruener, N. H., Jung, M. C., Ulsenheimer, A., et al. (2003). Acute hepatitis C: high rate of both spontaneous and treatment-induced viral clearance. *Gastroenterology*, *125*(1), 80-88.
- Glynn, S. A., Wright, D. J., Kleinman, S. H., Hirschhorn, D., Tu, Y., Heldebrandt, C., et al. (2005). Dynamics of viremia in early hepatitis C virus infection. *Transfusion*, *45*(6), 994-1002.
- Gremion, C., & Cerny, A. (2005). Hepatitis C virus and the immune system: a concise review. *Rev Med Virol*, *15*(4), 235-268.
- Gremion, C., Grabscheid, B., Wolk, B., Moradpour, D., Reichen, J., Pichler, W., et al. (2004). Cytotoxic T lymphocytes derived from patients with chronic hepatitis C virus infection kill bystander cells via Fas-FasL interaction. *J Virol*, *78*(4), 2152-2157.
- Gruener, N. H., Gerlach, T. J., Jung, M. C., Diepolder, H. M., Schirren, C. A., Schraut, W. W., et al. (2000). Association of hepatitis C virus-specific CD8+ T cells with viral clearance in acute hepatitis C. *J Infect Dis*, *181*(5), 1528-1536.
- Gupta, G., Qin, H., & Song, J. (2012). Intrinsically unstructured domain 3 of hepatitis C Virus NS5A forms a "fuzzy complex" with VAPB-MSP domain which carries ALS-causing mutations. *PLoS One*, *7*(6), e39261.
- Hadziyannis, S. J., Sette, H., Jr., Morgan, T. R., Balan, V., Diago, M., Marcellin, P., et al. (2004). Peginterferon-alpha2a and ribavirin combination therapy in chronic hepatitis C: a randomized study of treatment duration and ribavirin dose. *Ann Intern Med*, *140*(5), 346-355.
- Hajarizadeh, B., Grebely, J., Applegate, T., Matthews, G. V., Amin, J., Petoumenos, K., et al. (2014). Dynamics of HCV RNA levels during acute hepatitis C virus infection. *J Med Virol*, *86*(10), 1722-1729.
- Hajarizadeh, B., Grebely, J., & Dore, G. J. (2012). Case definitions for acute hepatitis C virus infection: a systematic review. *J Hepatol*, *57*(6), 1349-1360.
- Hajarizadeh, B., Grebely, J., & Dore, G. J. (2013). Epidemiology and natural history of HCV infection. *Nat Rev Gastroenterol Hepatol*, *10*(9), 553-562.
- HIN. (2002a). Management of Hepatitis C. *Hepatology*(Consensus Development Conference Statement).
- HIN. (2002b). Publication.
- HIN. (2002c). Publication. No.02-4230.
- Hoofnagle, J. H. (2004). Hepatocellular carcinoma: summary and recommendations. *Gastroenterology*, *127*(5 Suppl 1), S319-323.

- Houghton M, B. F., Knipe DM, Howley PM. (1996). Hepatitis C viruses. *Fields Virology*(3rd), 1035-1058.
- Jaeckel, E., Cornberg, M., Wedemeyer, H., Santantonio, T., Mayer, J., Zankel, M., et al. (2001). Treatment of acute hepatitis C with interferon alfa-2b. *N Engl J Med*, 345(20), 1452-1457.
- Jauncey, M., Micallef, J. M., Gilmour, S., Amin, J., White, P. A., Rawlinson, W., et al. (2004). Clearance of hepatitis C virus after newly acquired infection in injection drug users. *J Infect Dis*, 190(7), 1270-1274.
- Jin, Z., Leveque, V., Ma, H., Johnson, K. A., & Klumpp, K. (2012). Assembly, purification, and pre-steady-state kinetic analysis of active RNA-dependent RNA polymerase elongation complex. *J Biol Chem*, 287(13), 10674-10683.
- Kalinina, O., Norder, H., Mukomolov, S., & Magnius, L. O. (2002). A natural intergenotypic recombinant of hepatitis C virus identified in St. Petersburg. *J Virol*, 76(8), 4034-4043.
- Karchava, M., Waldenstrom, J., Parker, M., Hallack, R., Sharvadze, L., Gatsereia, L., et al. (2015). High incidence of the hepatitis C virus recombinant 2k/1b in Georgia: Recommendations for testing and treatment. *Hepatol Res*, 45(13), 1292-1298.
- Kato, N., Sekiya, H., Ootsuyama, Y., Nakazawa, T., Hijikata, M., Ohkoshi, S., et al. (1993). Humoral immune response to hypervariable region 1 of the putative envelope glycoprotein (gp70) of hepatitis C virus. *J Virol*, 67(7), 3923-3930.
- Kim, W. R. (2002). The burden of hepatitis C in the United States. *Hepatology*, 36(5 Suppl 1), S30-34.
- Kountouras, J., Zavos, C., & Chatzopoulos, D. (2003). Apoptosis in hepatitis C. *J Viral Hepat*, 10(5), 335-342.
- Koziel, M. J. (2005). Cellular immune responses against hepatitis C virus. *Clin Infect Dis*, 41 Suppl 1, S25-31.
- Kuniholm, M. H., Aladashvili, M., Del Rio, C., Stvilia, K., Gabelia, N., Chitale, R. A., et al. (2008). Not all injection drug users are created equal: heterogeneity of HIV, hepatitis C virus, and hepatitis B virus infection in Georgia. *Subst Use Misuse*, 43(10), 1424-1437.
- Lagging, M., Romero, A. I., Westin, J., Norkrans, G., Dhillon, A. P., Pawlotsky, J. M., et al. (2006). IP-10 predicts viral response and therapeutic outcome in difficult-to-treat patients with HCV genotype 1 infection. *Hepatology*, 44(6), 1617-1625.
- Lam, B. P., Jeffers, T., Younoszai, Z., Fazel, Y., & Younossi, Z. M. (2015). The changing landscape of hepatitis C virus therapy: focus on interferon-free treatment. *Therap Adv Gastroenterol*, 8(5), 298-312.

- Laskus, T., Radkowski, M., Wang, L. F., Nowicki, M., & Rakela, J. (2000). Uneven distribution of hepatitis C virus quasispecies in tissues from subjects with end-stage liver disease: confounding effect of viral adsorption and mounting evidence for the presence of low-level extrahepatic replication. *J Virol*, *74*(2), 1014-1017.
- Lauer, G. M., Lucas, M., Timm, J., Ouchi, K., Kim, A. Y., Day, C. L., et al. (2005). Full-breadth analysis of CD8+ T-cell responses in acute hepatitis C virus infection and early therapy. *J Virol*, *79*(20), 12979-12988.
- Lauer, G. M., & Walker, B. D. (2001). Hepatitis C virus infection. *N Engl J Med*, *345*(1), 41-52.
- Lavanchy, D. (2009). The global burden of hepatitis C. *Liver Int*, *29 Suppl 1*, 74-81.
- Lechner, F., Wong, D. K., Dunbar, P. R., Chapman, R., Chung, R. T., Dohrenwend, P., et al. (2000). Analysis of successful immune responses in persons infected with hepatitis C virus. *J Exp Med*, *191*(9), 1499-1512.
- Legrand-Abravanel, F., Claudinon, J., Nicot, F., Dubois, M., Chapuy-Regaud, S., Sandres-Saune, K., et al. (2007). New natural intergenotypic (2/5) recombinant of hepatitis C virus. *J Virol*, *81*(8), 4357-4362.
- Lehmann, M., Meyer, M. F., Monazahian, M., Tillmann, H. L., Manns, M. P., & Wedemeyer, H. (2004). High rate of spontaneous clearance of acute hepatitis C virus genotype 3 infection. *J Med Virol*, *73*(3), 387-391.
- Lemon SM, B. E., Mandell GL, Bennett JE, Dolin R, . (1995). Hepatitis C virus. *Principle and Practice of Infectious Disease*, (Fourth), 1474-1486.
- Lerat, H., Rumin, S., Habersetzer, F., Berby, F., Trabaud, M. A., Trepo, C., et al. (1998). In vivo tropism of hepatitis C virus genomic sequences in hematopoietic cells: influence of viral load, viral genotype, and cell phenotype. *Blood*, *91*(10), 3841-3849.
- Lewis-Ximenez, L. L., Lauer, G. M., Schulze Zur Wiesch, J., de Sousa, P. S., Ginuino, C. F., Paranhos-Baccala, G., et al. (2010). Prospective follow-up of patients with acute hepatitis C virus infection in Brazil. *Clin Infect Dis*, *50*(9), 1222-1230.
- Liang, T. J., Rehermann, B., Seeff, L. B., & Hoofnagle, J. H. (2000). Pathogenesis, natural history, treatment, and prevention of hepatitis C. *Ann Intern Med*, *132*(4), 296-305.
- Liu, L., Fisher, B. E., Thomas, D. L., Cox, A. L., & Ray, S. C. (2012). Spontaneous clearance of primary acute hepatitis C virus infection correlated with high initial viral RNA level and rapid HVR1 evolution. *Hepatology*, *55*(6), 1684-1691.
- Locatelli, G. A., Gosselin, G., Spadari, S., & Maga, G. (2001). Hepatitis C virus NS3 NTPase/helicase: different stereoselectivity in nucleoside triphosphate utilisation suggests

- that NTPase and helicase activities are coupled by a nucleotide-dependent rate limiting step. *J Mol Biol*, 313(4), 683-694.
- MacDonald, A. J., Duffy, M., Brady, M. T., McKiernan, S., Hall, W., Hegarty, J., et al. (2002). CD4 T helper type 1 and regulatory T cells induced against the same epitopes on the core protein in hepatitis C virus-infected persons. *J Infect Dis*, 185(6), 720-727.
- Maheshwari, A., Ray, S., & Thuluvath, P. J. (2008). Acute hepatitis C. *Lancet*, 372(9635), 321-332.
- Mandell, D., and Bennett's. (2005). Principles and Practice of Infectious Diseases. *Elsevier Churchill Livingstone*(Sixth edition), pg. 1960-1961.
- Manns, M. P., McHutchison, J. G., Gordon, S. C., Rustgi, V. K., Shiffman, M., Reindollar, R., et al. (2001). Peginterferon alfa-2b plus ribavirin compared with interferon alfa-2b plus ribavirin for initial treatment of chronic hepatitis C: a randomised trial. *Lancet*, 358(9286), 958-965.
- Marinho, R. T., Vitor, S., & Velosa, J. (2014). Benefits of curing hepatitis C infection. *J Gastrointestin Liver Dis*, 23(1), 85-90.
- Martin-Carbonero, L., Soriano, V., Valencia, E., Garcia-Samaniego, J., Lopez, M., & Gonzalez-Lahoz, J. (2001). Increasing impact of chronic viral hepatitis on hospital admissions and mortality among HIV-infected patients. *AIDS Res Hum Retroviruses*, 17(16), 1467-1471.
- Mast, E. E., Hwang, L. Y., Seto, D. S., Nolte, F. S., Nainan, O. V., Wurtzel, H., et al. (2005). Risk factors for perinatal transmission of hepatitis C virus (HCV) and the natural history of HCV infection acquired in infancy. *J Infect Dis*, 192(11), 1880-1889.
- McCarron, B., Main, J., & Thomas, H. C. (1998). Molecular and therapeutic advances in the management of chronic hepatitis B and C. *Curr Opin Infect Dis*, 11(5), 555-564.
- McGovern, B. H., Birch, C. E., Bowen, M. J., Reyor, L. L., Nagami, E. H., Chung, R. T., et al. (2009). Improving the diagnosis of acute hepatitis C virus infection with expanded viral load criteria. *Clin Infect Dis*, 49(7), 1051-1060.
- McGovern, B. H., Wurcel, A., Kim, A. Y., Schulze zur Wiesch, J., Bica, I., Zaman, M. T., et al. (2006). Acute hepatitis C virus infection in incarcerated injection drug users. *Clin Infect Dis*, 42(12), 1663-1670.
- McHutchison, J. G., Gordon, S. C., Schiff, E. R., Shiffman, M. L., Lee, W. M., Rustgi, V. K., et al. (1998). Interferon alfa-2b alone or in combination with ribavirin as initial treatment for chronic hepatitis C. Hepatitis Interventional Therapy Group. *N Engl J Med*, 339(21), 1485-1492.
- McHutchison, J. G., Poynard, T., Pianko, S., Gordon, S. C., Reid, A. E., Dienstag, J., et al. (2000). The impact of interferon plus ribavirin on response to therapy in black patients with chronic

- hepatitis C. The International Hepatitis Interventional Therapy Group. *Gastroenterology*, 119(5), 1317-1323.
- Meyer, M. F., Lehmann, M., Cornberg, M., Wiegand, J., Manns, M. P., Klade, C., et al. (2007). Clearance of low levels of HCV viremia in the absence of a strong adaptive immune response. *Virology*, 4, 58.
- Micallef, J. M., Kaldor, J. M., & Dore, G. J. (2006). Spontaneous viral clearance following acute hepatitis C infection: a systematic review of longitudinal studies. *J Viral Hepat*, 13(1), 34-41.
- Mitruka, K., Tsertsvadze, T., Butsashvili, M., Gamkrelidze, A., Sabelashvili, P., Adamia, E., et al. (2015). Launch of a Nationwide Hepatitis C Elimination Program--Georgia, April 2015. *MMWR Morb Mortal Wkly Rep*, 64(28), 753-757.
- Mondelli, M. U., & Silini, E. (1999). Clinical significance of hepatitis C virus genotypes. *J Hepatol*, 31 Suppl 1, 65-70.
- Monga, H. K., Rodriguez-Barradas, M. C., Breaux, K., Khattak, K., Troisi, C. L., Velez, M., et al. (2001). Hepatitis C virus infection-related morbidity and mortality among patients with human immunodeficiency virus infection. *Clin Infect Dis*, 33(2), 240-247.
- Moradpour, D. (2004). Hepatology highlights: viral hepatitis. *Hepatology*(40), 4-5.
- Moradpour, D., Penin, F., & Rice, C. M. (2007). Replication of hepatitis C virus. *Nat Rev Microbiol*, 5(6), 453-463.
- Mosley, J. W., Operskalski, E. A., Tobler, L. H., Andrews, W. W., Phelps, B., Dockter, J., et al. (2005). Viral and host factors in early hepatitis C virus infection. *Hepatology*, 42(1), 86-92.
- Munier, A., Marzouk, D., Abravanel, F., El-Daly, M., Taylor, S., Mamdouh, R., et al. (2013). Frequent transient hepatitis C viremia without seroconversion among healthcare workers in Cairo, Egypt. *PLoS One*, 8(2), e57835.
- Napoli, N., Giannelli, G., Parisi, C. V., Antonaci, A., Maddalena, G., & Antonaci, S. (2005). Predictive value of early virological response to treatment with different interferon-based regimens plus ribavirin in patients with chronic hepatitis C. *New Microbiol*, 28(1), 13-21.
- Navas, S., Martin, J., Quiroga, J. A., Castillo, I., & Carreno, V. (1998). Genetic diversity and tissue compartmentalization of the hepatitis C virus genome in blood mononuclear cells, liver, and serum from chronic hepatitis C patients. *J Virol*, 72(2), 1640-1646.
- Neumann, A. U., Lam, N. P., Dahari, H., Gretch, D. R., Wiley, T. E., Layden, T. J., et al. (1998). Hepatitis C viral dynamics in vivo and the antiviral efficacy of interferon-alpha therapy. *Science*, 282(5386), 103-107.

- Nolte, F. S., Green, A. M., Fiebelkorn, K. R., Caliendo, A. M., Sturchio, C., Grunwald, A., et al. (2003). Clinical evaluation of two methods for genotyping hepatitis C virus based on analysis of the 5' noncoding region. *J Clin Microbiol*, 41(4), 1558-1564.
- Ogarkov, P. I., Malyshev, V. V., Tokmakov, V. S., & Smirnov, A. V. (2004). Epidemiological features of virus hepatitis in the Russian Army. *Minerva Gastroenterol Dietol*, 50(2), 165-169.
- Panos, G., Samonis, G., Alexiou, V. G., Kavarnou, G. A., Charatsis, G., & Falagas, M. E. (2008). Mortality and morbidity of HIV infected patients receiving HAART: a cohort study. *Curr HIV Res*, 6(3), 257-260.
- Pawlotsky, J. M. (1999). Diagnostic tests for hepatitis C. *J Hepatol*, 31 Suppl 1, 71-79.
- Peterson, J., Green, G., Iida, K., Caldwell, B., Kerrison, P., Bernich, S., et al. (2000). Detection of hepatitis C core antigen in the antibody negative 'window' phase of hepatitis C infection. *Vox Sang*, 78(2), 80-85.
- Ploss, A., & Evans, M. J. (2012). Hepatitis C virus host cell entry. *Curr Opin Virol*, 2(1), 14-19.
- Popescu, C. I., Callens, N., Trinel, D., Roingard, P., Moradpour, D., Descamps, V., et al. (2011). NS2 protein of hepatitis C virus interacts with structural and non-structural proteins towards virus assembly. *PLoS Pathog*, 7(2), e1001278.
- Post, J. J., Pan, Y., Freeman, A. J., Harvey, C. E., White, P. A., Palladinetti, P., et al. (2004). Clearance of hepatitis C viremia associated with cellular immunity in the absence of seroconversion in the hepatitis C incidence and transmission in prisons study cohort. *J Infect Dis*, 189(10), 1846-1855.
- Poynard, T., Leroy, V., Cohard, M., Thevenot, T., Mathurin, P., Opolon, P., et al. (1996). Meta-analysis of interferon randomized trials in the treatment of viral hepatitis C: effects of dose and duration. *Hepatology*, 24(4), 778-789.
- Purcell, R. H. (1994). Hepatitis C virus: historical perspective and current concepts. *FEMS Microbiol Rev*, 14(3), 181-191.
- Purcell RH, W. R., Granoff A. (1994). Hepatitis C virus. *Encyclopedia of Virology*(London, Academic Press Ltd), 569-574.
- Quinn, T. C. (2008). HIV epidemiology and the effects of antiviral therapy on long-term consequences. *AIDS*, 22 Suppl 3, S7-12.
- Raghwani, J., Thomas, X. V., Koekkoek, S. M., Schinkel, J., Molenkamp, R., van de Laar, T. J., et al. (2012). Origin and evolution of the unique hepatitis C virus circulating recombinant form 2k/1b. *J Virol*, 86(4), 2212-2220.

- Rehermann, B., Chang, K. M., McHutchinson, J., Kokka, R., Houghton, M., Rice, C. M., et al. (1996). Differential cytotoxic T-lymphocyte responsiveness to the hepatitis B and C viruses in chronically infected patients. *J Virol*, 70(10), 7092-7102.
- Richards, D. C., Mikiashvili, T., Parris, J. J., Kourbatova, E. V., Wilson, J. C., Shubladze, N., et al. (2006). High prevalence of hepatitis C virus but not HIV co-infection among patients with tuberculosis in Georgia. *Int J Tuberc Lung Dis*, 10(4), 396-401.
- Rigat, K., Wang, Y., Hudyma, T. W., Ding, M., Zheng, X., Gentles, R. G., et al. (2010). Ligand-induced changes in hepatitis C virus NS5B polymerase structure. *Antiviral Res*, 88(2), 197-206.
- Ross, R. S., Viazov, S. O., Holtzer, C. D., Beyou, A., Monnet, A., Mazure, C., et al. (2000). Genotyping of hepatitis C virus isolates using CLIP sequencing. *J Clin Microbiol*, 38(10), 3581-3584.
- Rubbia-Brandt, L., Fabris, P., Paganin, S., Leandro, G., Male, P. J., Giostra, E., et al. (2004). Steatosis affects chronic hepatitis C progression in a genotype specific way. *Gut*, 53(3), 406-412.
- Rubbia-Brandt, L., Quadri, R., Abid, K., Giostra, E., Male, P. J., Mentha, G., et al. (2000). Hepatocyte steatosis is a cytopathic effect of hepatitis C virus genotype 3. *J Hepatol*, 33(1), 106-115.
- S, D. E. N., & Colombo, M. (2016). The eradication of HCV. *Minerva Gastroenterol Dietol*, 62(1), 63-75.
- Scott, J. D., McMahon, B. J., Bruden, D., Sullivan, D., Homan, C., Christensen, C., et al. (2006). High rate of spontaneous negativity for hepatitis C virus RNA after establishment of chronic infection in Alaska Natives. *Clin Infect Dis*, 42(7), 945-952.
- Selby, M., Erickson, A., Dong, C., Cooper, S., Parham, P., Houghton, M., et al. (1999). Hepatitis C virus envelope glycoprotein E1 originates in the endoplasmic reticulum and requires cytoplasmic processing for presentation by class I MHC molecules. *J Immunol*, 162(2), 669-676.
- Seme, K., Poljak, M., Babic, D. Z., Mocilnik, T., & Vince, A. (2005). The role of core antigen detection in management of hepatitis C: a critical review. *J Clin Virol*, 32(2), 92-101.
- Sharaf Eldin, N., Ismail, S., Mansour, H., Rekecewicz, C., El-Houssinie, M., El-Kafrawy, S., et al. (2008). Symptomatic acute hepatitis C in Egypt: diagnosis, spontaneous viral clearance, and delayed treatment with 12 weeks of pegylated interferon alfa-2a. *PLoS One*, 3(12), e4085.

- Sharvadze, L., Nelson, K. E., Imnadze, P., Karchava, M., & Tsertsvadze, T. (2008). Prevalence of HCV and genotypes distribution in general population of Georgia. *Georgian Med News*(165), 71-77.
- Shepard, C. W., Finelli, L., & Alter, M. J. (2005). Global epidemiology of hepatitis C virus infection. *Lancet Infect Dis*, 5(9), 558-567.
- Sherlok S, D. J. (1997). Diseases of the liver and biliary system. *Blackweil Science*(Tenth Edition).
- Shiffman, M. L., Di Bisceglie, A. M., Lindsay, K. L., Morishima, C., Wright, E. C., Everson, G. T., et al. (2004). Peginterferon alfa-2a and ribavirin in patients with chronic hepatitis C who have failed prior treatment. *Gastroenterology*, 126(4), 1015-1023; discussion 1947.
- Simmonds, P. (1999). Viral heterogeneity of the hepatitis C virus. *J Hepatol*, 31 Suppl 1, 54-60.
